№ 18. 25 იანვარი, ქვირა. 1866—1881 25 იანვარი, ქვირა. № 18.

დროება

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“ ВЫХОДИТ ОДИН РАЗ В НЕДЕЛЮ

შავი ზღვიდამ ვაზისა და სხვა ხეხილის ნერგის შემოტანა კავკასიაში, რადგან ამ გზით შეიძლება ფილოქსერა გაჩნდეს ჩვენშიო. ეს შუამდგომლობა კავკასიის მთავარ-სამმართველოს, როგორც იწერებიან, პეტერბურღში გაუგზავნიათ განსახილველად და დასამტკიცებელად; მაგრამ იქ რაღაც დაბრკოლება აღმოჩენია ამ გონიერ ღონის-ძიების შესრულებას.

* * *

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ გამოცხადებული, რომ ზომბორის გზატკეცილი თითქმის სრულიად მზად არისო და კიდეც აკურთხესო; გადაწყვეტილიაო, რომ თელავის ტრაქტი ამ გზაზედ უნდა დაწესდეს და ამ განზრახვით მალე ფოჩტის სტანციებიც გაიმართება ზომბორის ახალს გზაზე თფილისიდამ თელავამდინაო.

ახლა ჩვენ გვაცნობებენ, რომ ამ საქმის სისრულეში მოყვანას რაღაც (მგონია, ფულის მხრით) დაბრკოლება აღმოჩენია და ტრაქტის გახსნა შემდეგ დროისთვის გარდაუდვიათ.

ეს ამბავი მით უფრო სამწუხაროა, რომ, როგორც მოგეხსენებათ, სიღნაღის ტრაქტისაგან ყველა მოგზაურები მობეზრებული არიან, რადგან თავის დღეში კაცი ამ სტანციებზე ცხენებს ვერ იშოვნის, საძაგელი წესებია და სხვ. ამას გარდა ზომბორის ტრაქტის გახსნით მთელი ეს ჩინებული მხარე—კახეთი ცოტაც არის დაუახლოვდებოდა საქართველოს დედა-ქალაქს და ამით შემსუბუქდებოდა კახეთის ნაწარმოების გასაღება, საზოგადოთ აღებ-მიცემა.

ურიგო არ იქნებოდა, რომ ჩვენს ფოჩტის მთავრობას ყველა ეს გარემოება მიეღო მხედველობაში და დაეჩქარებინა ზომბორის ტრაქტის გახსნა.

* * *

სომხურ გაზეთს „მეღუში“ ერევნიდამ იწერებიან, რომ ერთი იქაური ახალგაზდა ექიმი სომხურ ენაზე ახალ ჟურნალის გამოცემას აპირებსო.

იქიდამ და იმავ გაზეთში იწერებიან, რომ ამ ჟამად აქ ხორაგეულის სიაფე ჩამოვარდაო, ფუთი ფქვილი, სხვათა შორის, მანეთზე ზევით აღარ ისყიდებაო.

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

—

ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ, 21 იანვარს. ბურიიდგან რაც კორრესპონდენციები იბეჭდება საზოგადოთ, თითქმის ყველანი ლაპარაკობენ ან ავაზაკობაზედ ან სკოლების ცუდ-მდგომარეობაზედ. მეც ამაზედ მინდა ვსთქვა ორიოდე სიტყვა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ განვკიცხო ვინმე პიროვნულად. მე მსურს მხოლოდ შევეხო საზოგადო მოვლენას, რომლის მიზეზად ერთი კაცი, ვინც უნდა იყოს, არ ჩაითვლება. მე მსურს გიჩვენოთ ფაქტების შემწეობით, თუ როგორ შეკავშირებულია ბურიაში ერთმანეთთან მოზარდი თაობის მდგომარეობა და ავაზაკობის სიმრავლე, რომ ერთი ამ მოვლენათაგანი შედეგი და ღვიძლი შვილია მეორესი.

აი რა უნახავს ამ ბოლოს დროს ოზურგეთის გამომძიებელს:

1) ოზურგეთში რომ ცეცხლი გაჩნდა და დუქნები დაიწვა, მრავალი საქონელი დაიტაცეს ქურდებმა. სხვათა შორის ამის თაობაზე სახლი გაუჩხრიკეს ერთს აქაურ გლეხს, რომელსაც უნახეს ნაქურდალი ნივთები. ამ გლეხისას არიან სადგომად სკოლაში მოსწავლე ყმაწვილები.

2) ერთმა ქალმა განგებ ვითომ მოინდომა თავის ნაქირავებ სახლის დაწვა იმ განზრახვით, რომ ამ დანაშაულობაში მას გაემტყუნებია თავისი საყვარელი, რომელსაც იგი მიუტოვებია. ამ სახლში ერთად-ერთი ოთახია და იქ მიბარებული ჰყავს იმ ქალს ერთი მოსწავლე ყმაწვილი.

3) ერთ მექვაბეს დუქნის ძირი გამოუთხარეს იმდენად, რომ შიგ შესულიყო ყმაწვილი 12—13 წლისა, და იქიდგან მოიპარეს, რაც ქვაბები, ტაფები და თუნგები იყო. რამოდენიმე ნაქურდალი ქვაბები ნახეს სახლის გაჩხრეკის დროს ერთ საროსკიპო სახლში. ამ სახლში ზამთრის პიროობაზე მხოლოდ ერთი სადგომი ოთახია, რომელშიდაც დგანან ყველა იქ მცხოვრები ქალები და თან ორი მიბარებული, სკოლაში მოსწავლე ყმაწვილები, ერთი 8 და მეორე 10 წლისა. ეს ყმაწვილები თავადის შვილები არიან, თ—ძენი. ბარემ მკითხველს იქნება ეუცხოვოს ეს ამბავი, მაგრამ ჩვენში არავის გაუკვირდება ეს.

ამისთანა სახლებში და სამიკიტნო დუქნებში იზრდებიან ჩვენში არამც თუ დაბალ ხალხის შვილები, არამედ თავად-აზნაურობისაც. კიდევ ვამბობ, რომ ამისთანა ბინადრობა აქაურ მოსწავლე ყმაწვილებისა თითქმის საყოველთაო და საზოგადოა. ვინ ვერ მიხვდება ცხადად, რომ ამისთანა წრეში გამოზდილი თაობა გარყვნილი და ყოველნაირ ავ-კაცობის მომქმედი იქნება! მაშ რად უნდა გვიკვირდეს ამის შემდეგ, რომ ჩვენში ერთ უეზდში იმდენი ავაზაკობა მოხდეს, რამდენიც სხვაგან სამ უეზდშიც არ მოხდება? რად უნდა გვიკვირდეს, რომ ჩვენში როგორც მაღალ საზოგადოებაში, ისე დაბალშიაც თავის სარგებლობისთვისაც ქმარმა ცოლი გაჰყიდოს და დედამ შვილი?

ჩვენდა საუბედუროდ ამისთანა მოვლინებანი მართლა აღარავის უკვირს

არა სძინავს! მიუბრუნებს პირს თავის დედას, დაინახავს იმის თვალებზედ ცრემლებს და ჰკითხავს:

„— თქვენო დიდებულებავ, რასა სტირით, იქნება თქვენ სხვებსავით გგონიათ, რომ მე მოეკვდები?“

დედოფალს პასუხის მიცემა სურს, მაგრამ ცრემლები ერევა და ხმას ვერ იღებს.

„— ნუ სტირით, დედოფალო, განაგრძობს დოფინი, განა თქვენ გაიწყდებათ ვინცა ვარ, მე ხომ დოფინი ვარ...“

ამ სიტყვებზედ დედოფალს უარესად ამოუჯდება გული, ასე რომ დოფინიც კი შესწუხდება.

„— მე არ მინდა რომ სიკვდილი მომეკაროს, როგორ გაბედავს ჩემთან მოსვლას! აქ შემოიყვანეთ ახლათ ახლავე ორმოცი კარგათ დაიარაღებული გუშაგი და უბრძანეთ ჩემს ქვეშაგებთან დადგნენ. ჩემი ოთახის ფანჯარის ძირში დღე-და-ღამ ზარბაზნები უნდა იდგეს და მეზარბაზნეები მზათ უნდა იყვნენ პატრუქს მოუკიდონ, როდესაც სიკვდილი ჩემკენ მოახლოვებას გაბედავს; ვაი იმის შავსდღეს, თუ ჩემკენ გაბედა მოსვლა!“

დედოფალი განკარგულებას იძლევა, რომ იმისი შვილის ბრძანება აღსრულებულიყოს.—ეზოში ზარბაზნების ხრიგინ-ხრიგინი მოისმის, ოთახში დაიარაღებული ორმოცი ღონიერი, მაღალი და წამოსადეგი ყარაული შემოდის, მომეტებული ნაწილი იმათგანი, ჭალარა შერეულია. დოფინმა დაინახა თუ არა ისინი, ძალიან გაეხარდა და დამშვიდდა; ერთი იმათგანი იცნო და დაუძახა:

„— ლორენ, მოდი აქ“

სალდათი ავათმყოფის საწოლთან მივიდა.

„— მაჩვენე ერთი შენი ხმალი! როცა სიკვდილი დამიახლოვდება, ხომ მოჰკლავ ამითი, არა?“ ჰკითხა დოფანმა.

„— დიახ, თქვენო უმაღლესობავ.“ უპასუხა ლორენმა და ორი დიდი ცრემლი ჩამოუვარდა ზედ ჭალარა წვერზედ ამ მზისაგან გაშავებულს მოხუცს.

ავათმყოფთან მივიდა მღვდელი, ხელში ჯვარი ეჭირა და რაღასაც ჩურჩულებდა. ბანცვიფრებით უგდებს ყურს დოფინი. ბოლოს გააწყვეტინებს სიტყვას:

„— ძალიან კარგათ მესმის, რასაც მეუბნებით, მამაო; მაგრამ განა არ შეიძლება ჩემი პატარა მეგობარი ბენნო მოკვდეს ჩემს მაგიერათ, თუ კარგათ დავასაჩუქრეთ?

მღვდელი განაგრძელებს თავის ქადაგებას დაბლა ხმით; პატარა დოფინი ყურს უგდებს და ჰკვირობს ძალიან.

როცა მღვდელმა გაათავა ქადაგება, დოფინმა მძიმეთ ამოიოხრა და სთქვა:

„— რაც მითხარით, მამაო, ყველაფერი დიდათ სამწუხაროა ჩემთვის; მხოლოდ ისა მაქვს სასიამოვნოთ და სანუგეშებლად, რომ სამოთხეშიაც მე მაინც მეფის შვილად, დოფინად დავრჩები. მე ძალიან კარკათ ვიცი, რომ უფალი ჩემი ძიძაა და მიმილებს ისე, როგორც შეჰფერის ჩემს წოდებას.“

შემდეგ მიუბრუნდა დედას და უთხრა:

„— უბრძანეთ ჩემი საუკეთესო, ტანისამოსი მომართვან, ხავერდის ფეხსაცმელები, ყარყუმით მორთული ახალოხი, მინდა ანგელოზებს დოფინის შესაფერ ტანისამოსით შევხვდე.“

მესამედ მიუბრუნდა კიდევ მღვდელი დოფინს და ელაპარაკებოდა რაღასაც; მაგრამ აღარ გაათავებინა ამ დიდებულმა ბავშვმა და უცებ წამოიძახა ვაჯავრებით:

— როგორცა ვხედავ, არაფერი ყოფილა დოფინობა, არაფრათ ვარგებულა დოფინათ ყოფნა!

და საბრალო პატარა ყმაწვილმა აღარ ისურვა არავის ყურის გდება, მიიბრუნა პირი კედლისაკენ და მწარეთ ტირილი დაიწყო...

ე. ფ—სა.

თან დაჰქონდა ცულდი და რამოდენიმე სხვა და სხვა სიდიდისა კლიტეები ზანდუკისა და ყუთების გასაღებად.

ᲒᲐᲡᲐᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘ ის არის, რომ ეს ყმაწვილი—ავაზაკი ყოველთვის მარტოკა ახერხებდა ქურდობას და როცა დაუჭერიათ, გატეხილა ყოველისფერში და უთქვამს, რომ რაც გინდათ, ის მიყავითო, მე თავი მოძულებული მაქვსო.

ᲔᲡ დუქნების მტეხელი დუქანში მიუცია ათის წლისა და იქ მისჩეევია ამისთანა ავაზაკობას; იქ გართულა იმდენად ავკაცობაში, რომ სიცოცხლე, რომლის გაგებაც არ უნდა ჰქონდეს ჯერ, უკვე მოჰსძულებია კიდეც.

ᲗᲣ ᲔᲘᲜᲛᲔᲡ აწუხებს ამისთანა მოვლინება, თუ ეინმე მართლა თანაუგრძნობს ჩვენის კუთხის მდგომარეობას, თუ ის პირები რომელნიც ცრემლიან თვალებით მუდამ იმას სწერენ, რომ ᲑᲣᲠᲘᲐᲨᲘ ცხოვრება გასჭირდა ავაზაკებისაგანო,—იმათი ვალია ეცადონ მოსპობას იმ უმთავრეს მიზეზისა, რომლის შედეგი ᲑᲣᲠᲘᲘᲡ ამისთანა სამწუხარო მდგომარეობაა; იმათ ყმაწვილების სწავლის და აღზრდის საქმეს უნდა შეეწიონ.

ᲜᲐᲛᲔᲢᲐᲜ ᲔᲠᲪᲔᲚ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲡ ჩვენი ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ, რასაკვირველია, ვერ შეასრულებს. ᲕᲔᲠ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ, იმიტომ რომ მას საკმაოდ არ აქვს ამ საქმისთვის საჭირო სწავლა განათლება, საზოგადობრივი ხასიათი და ენერგია. ᲐᲑᲐ რა დიდი იმედი უნდა გვქონდეს იმ საზოგადოებისა, სადაც დედ-მამები სჯერდებიან და სრულიად კმაყოფილნი არიან, თუ თავის შვილებს რუსული ლაპარაკი ასწავლეს და შემდეგ ამისა აწყვეტინებენ სწავლას, თვითონ მოსწავლეთაც, რომ დიდი სურვილი ჰქონდესთ სწავლისა; სადაც, ეგრეთ წოდებულ, მაღალ წოდების ქალებს და კაცებს სირცხვილად ის კი არ მიაჩნიათ, რომ მეგობრობა და ამხანაგობა დაიჭირონ ავკაცებთან, რომელთაც დღეს თუ ხვალ მათ სახლშივე დაატუსაღებს მართებლობა, არამედ ის, რომ საზოგადო შეკრებილებაში ერთად გაატარონ დრო იმისთანა კაცებთან, რომელნიც თუმცა პატიოსნები არიან, მაგრამ ბრალი ედებათ იმაში, რომ თავის შრომით ირჩენენ თავს! ᲐᲑᲐ რა, გულწრფელობა და ერთგულება უნდა მოვსთხოვოთ ამ საქმეში იმისთანა საზოგადოებას, სადაც მოყვასის სიყვარულს მხოლოდ იმით აჩენენ, რომ სიკვდილის მერძე რამოდენიმე დღე მგლოვიარედ ეჩვენებიან სხვას და სიცოცხლეში კი გადასაყარ ც რომ ჰქონდესთ, არაფრით წაეხმარებიან; სადაც გასვენებაზე ას თუმნობით ხარჯავენ და საექიმოდ ას მანეთსაც ვერ იმეტებენ!

ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ იმედების და მოთხოვნილების მიმართვა ჩვენ საზოგადოებისადმი უნდა გადაიდვას იმ დროისათვის, როცა უმეტესი ნაწილი მისი მოწინავე კაცებისა თავის ვალად ჩასთვლიან საზოგადო სიკეთისთვის მეცადინეობას; როცა იგინი დარწმუნებული იქნებიან, რომ თუ კეთილდღეობა საზოგადო არ იქნა, იმათს კერძო კეთილდღეობას ბოლო არ ექნება; როცა საზოგადოების მოთავობა და ხელმძღვანელობა მოხელეების ხელში არ იქნება და როცა მოხელეები არ დასჯერდებიან თავის თანამდებობის ფორმალურად აღსრულებას და თავის-თავს ვალდებულად ჩასთვლიან, რომ საზოგადოების ნამდვილ მწეერებად იქნენ, რომ საზოგადოებას ჭირიც და ლხინიც გაუზიარონ თავის შეძლებისამებრ.

ᲔᲮᲚᲐ კი ერთი პატარა საშვალება უნდა იხმაროს ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ საზოგადოებამ მოსწავლე ყმაწვილების ზნეობის დასაცველად, მათის სწავლის წარმატებისათვის და მათის სიმრთელის დასაცველად.

ᲓᲘᲓᲘ განათლება, სიმდიდრე და თავგანწირულება არ არის საჭირო იმისათვის: რომ დაარსდეს და იცოცხლოს იმისთანა „მოსწავლეთა შემწეენ საზოგადოებამ“, როგორიც არის ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ და სხვა ქალაქებში.

ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ საზოგადოებისათვის მიუკილებელი საჭიროა ამისთანა დაწესებულება. მისი დაარსება და კარგა წაყვანა შეიძლება, თუ ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ საზოგადოების წეერნი მიახმარებენ ამ საქმეს მხოლოდ იმდენ ცდას და შრომას, რამდენიც კლუბის საქმეს მოანდომეს. ᲗᲣ კი ამ საზოგადოებაში მყოფ ორიოდე განათლებულ კაცებს შეუძლიან კიდეე შრომა არა მარტო სხვის ჯიბრისათვის, თუ იგინი არ დაუძლეევია ბოლომდი პატარა ქალაქების სენს—ინტრიგებს და სხვის ლანძღვის წყურვილს, მე ვგონებ, რომ მოსწავლეთა მომხმარებელ საზოგადოების დაარსება შეიძლება ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲨᲘ. ᲫᲘᲠ-ᲤᲣᲚᲐᲓ ამ საზოვადოებისათვის შეიძლება მოიხმაროონ ის ფული, რომელიც შეკრიბეს ამას-წინედ ქალების სასწავლებლის გასახსნელად, რაღგან ეს სასწავლებელი ველარ გახსნეს და ვერც გახსნიან, როგორც ეტყობათ. ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ შეკრებილი ფული კი, თუ სულ დაკარგული არ არის, ვის სარგებლობაშია დღემდი კაცმა არ იცის.

Ს. ᲛᲗ—ᲯᲗ—ᲫᲔ.

ᲧᲘᲖᲚᲘᲐᲠᲘ, 15 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ. ᲕᲘᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲞᲘᲠ ᲐᲥᲔᲗ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲣᲤᲚᲘᲐ, ᲛᲐᲡ, ᲣᲔᲭᲕᲔᲚᲘᲐ, ᲔᲪᲝᲓᲘᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲥ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲙᲝᲛᲚᲝᲑᲘᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲔᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲠ, ᲧᲘᲖᲚᲘᲐᲠᲨᲘ ᲛᲐᲗᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲐᲡᲚ ᲙᲝᲛᲚᲐᲛᲓᲘᲡ ᲛᲘᲐᲮᲬᲔᲕᲔᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲛ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲢᲝᲛᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲝᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲖᲔᲓ, ᲛᲐᲗᲘ (ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ) ᲐᲥ ᲧᲝᲤᲜᲐ ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲚᲐᲓ ᲨᲔᲣᲛᲩᲜᲔᲕᲔᲚᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ.

ᲧᲘᲖᲚᲘᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ (ᲡᲢᲐᲜᲘᲪᲐ) ᲡᲐᲠᲐᲤᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲗ. ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ ᲠᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲙᲘ ᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲮᲚᲐ ᲒᲐᲓᲐᲣᲙᲔᲗᲔᲑᲘᲐᲗ: **ᲨᲔᲚᲙᲝᲕᲜᲘᲗ** ᲓᲐ **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲜᲘᲗ**.

ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ ᲐᲛ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ: ᲐᲛᲐᲗ ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲗ ᲓᲐᲣᲪᲕᲘᲐᲗ, ᲨᲔᲣᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ (ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲣᲠᲘ) ᲬᲜᲔ, ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ, ᲔᲜᲐ, ᲓᲐ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲐᲡ ᲮᲝᲛ ᲠᲐᲚᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲣᲠᲛᲔᲑᲘ, ᲙᲔᲕᲠᲔᲑᲘ, ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲘ, ᲥᲕᲔᲕᲠᲔᲑᲘ, ᲚᲝᲗᲝᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲣᲚᲘᲡ „ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲐᲛᲘᲔᲠᲘᲗᲘ“, ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘ ᲪᲮᲐᲓᲐᲗ ᲒᲐᲜᲐᲠᲩᲔᲕᲔᲜ ᲐᲛᲐᲗ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑ-ᲧᲐᲖᲮᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲗᲣᲛᲪᲐ ᲯᲔᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲐᲜ, (ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲮᲔᲓᲕᲔᲜ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐᲡ), ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲐᲘᲪᲐ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲛᲝᲮᲣᲪᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲔᲓᲐ-ᲙᲐᲪᲔᲑᲡ, ᲘᲛᲐᲗ ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲘᲪᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲜᲔᲢᲐᲕᲘ ᲓᲐᲒᲐᲜᲐᲮᲕᲐᲗ ᲗᲣ ᲠᲐ ᲡᲘᲛᲬᲐᲠᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲣᲚ-ᲛᲝᲙᲕᲔᲗᲘᲗ ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲔᲜ ᲔᲡᲔᲜᲘ ᲐᲮᲐᲚ-ᲒᲐᲖᲓᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲐᲠ-ᲪᲝᲓᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲔᲡᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲧᲐᲖᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲠᲘᲪᲮᲣᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲔᲑᲠᲘᲕ ᲘᲮᲓᲘᲐᲜ ᲮᲐᲠᲯᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲭᲧᲐᲕᲗ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲧᲐᲖᲐᲮᲔᲑᲐᲗ.

ᲐᲛᲐᲗ ᲓᲐᲰᲕᲘᲬᲧᲔᲑᲘᲐᲗ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲡᲐᲘᲓᲐᲛᲐᲪ ᲔᲡᲔᲜᲘ ᲑᲔᲓᲡ ᲐᲥᲔᲗ ᲒᲐᲓᲛᲝᲣᲢᲧᲝᲠᲪᲜᲘᲐ. ᲠᲝᲛ ᲰᲙᲘᲗᲮᲠᲗ ᲛᲐᲗ: — ᲔᲘᲜ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲡᲐᲘᲓᲐᲛ ᲒᲐᲓᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲐᲜ, ᲠᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ, ᲐᲠᲘᲐᲜ-ᲦᲐ ᲡᲐᲓᲛᲔ ᲓᲔᲓᲐ-ᲛᲘᲬᲘᲡ ᲖᲣᲠᲒᲖᲔᲓ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲝᲛᲫᲛᲔᲜᲘ ᲗᲣ ᲐᲠᲐ? — ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲘᲫᲚᲔᲕᲘᲐᲜ: — „ᲩᲕᲔᲜᲐ ᲕᲐᲠᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ, ᲒᲐᲓᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲓᲐᲛ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲓᲘᲓᲘᲐ ᲛᲔᲤᲔᲓ“. ᲔᲡ ᲘᲠᲐᲙᲚᲘᲡ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲒᲕᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ ᲐᲛᲐᲗᲘ ᲐᲥᲗᲗ ᲒᲐᲓᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ.

Მ. Ნ.

S. P. ᲗᲣ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐᲗ ᲕᲘᲡᲘᲛᲔ, ᲔᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲐ ᲐᲡᲚᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲔᲚᲘ; ᲔᲡᲔᲜᲘ ᲛᲐᲚᲔᲪ ᲨᲔᲔᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲐᲜ ᲑᲐᲗᲣᲛᲔᲚᲔᲑᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲜᲐ, ᲬᲜᲔ ᲓᲐ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲥᲔᲗ ᲓᲐ ᲰᲐᲕᲐᲡᲐᲪ, ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲡᲮᲕᲔᲑᲖᲔᲓ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲗ ᲔᲡᲔᲜᲘ ᲐᲘᲢᲐᲜᲔᲜ...

Მ. Ნ.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „Temps“ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲑᲔᲢᲐ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲐᲛᲝᲠᲩᲘᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ, ᲛᲘᲘᲦᲚᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ-ᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲠᲩᲔᲕᲐᲨᲘᲝ.

„ᲣᲕᲘᲗᲔᲚ ᲬᲘᲒᲜᲨᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲐᲪ ᲛᲝᲒᲠᲝᲕᲘᲚᲘᲐ ᲣᲪᲮᲝ-ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘ, ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ, ᲡᲮᲕᲐᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲑᲐᲠᲢᲚᲔᲛᲘ ᲡᲐᲜᲢ-ᲘᲚᲔᲠᲘᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲐ ᲒᲠᲐᲭ ᲓᲔ-ᲛᲣᲘᲡᲗᲐᲜ, (ᲡᲐᲤᲠᲐᲜ-ᲒᲔᲗᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘᲐ ᲡᲐᲑᲘᲠᲫᲜᲔᲗᲨᲘ) 14 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲡ ᲐᲗᲘᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲜᲐᲛᲔᲢᲐᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲑᲐ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲡ ᲩᲐᲐᲧᲔᲜᲔᲑᲡ ᲘᲡᲔᲗᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲓᲐᲛᲐᲪ ᲑᲔᲕᲠᲡ ᲕᲔᲠᲐᲡ ᲛᲝᲘᲒᲔᲑᲡᲝ, ᲓᲐ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲕᲘᲗ ᲙᲘ ᲑᲔᲕᲠᲡ ᲓᲐᲰᲙᲐᲠᲒᲐᲕᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲮᲐᲚᲮᲘᲗ ᲓᲐ ᲤᲣᲚᲘᲗ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲗᲐᲜᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲝ.

ᲞᲠᲣᲡᲘᲐ. ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲜᲘᲖᲠᲐᲮᲔᲡ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲐᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲖᲔᲠᲛᲐᲜᲘᲣᲚᲘ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ-ᲒᲐᲖᲓᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲕᲔᲜᲔᲑᲓᲜᲔ. ᲨᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲐ (ᲐᲡᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ) ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲗ, ᲓᲐ ᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲡ ᲐᲛᲐᲖᲔᲓ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲡ.

—

ᲡᲔᲠᲑᲘᲐ. ᲡᲔᲠᲑᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲠᲩᲔᲕᲐᲨᲘ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ 35 ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲪ ᲐᲛᲝᲣᲠᲩᲔᲕᲘᲐᲗ. ᲐᲛ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐ ᲒᲐᲣᲙᲕᲐᲚᲐᲕᲡ ᲐᲛᲐᲗ ᲛᲝᲗᲐᲕᲔᲡ, ᲞᲐᲡᲘᲩᲡ—ᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲛᲐᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝᲜ ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ ᲓᲐ, ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲣᲜᲓᲐᲗ ᲓᲐᲐᲠᲡᲝᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ �გᲐᲖᲔᲗᲘ—ᲡᲐᲮᲔᲚᲐᲗ „ᲗᲕᲘᲗ-ᲛᲘᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ“, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲔᲠᲑᲘᲐ ᲓᲐᲘᲧᲝᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲜᲔᲑᲐᲗ, ᲔᲡᲔ ᲘᲒᲘ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲡᲐᲛᲗᲚᲝᲑᲔᲚᲝᲑᲐᲗ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲘᲡ ᲓᲐᲒᲕᲐᲠᲐᲓ. ᲡᲔᲠᲑᲘᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲡᲣᲠᲗ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲗᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲐ. ᲧᲝᲕᲔᲚ ᲛᲐᲖᲠᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲛᲗᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲐ. ᲣᲧᲝᲕᲔᲚ ᲛᲐᲖᲠᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲛᲗᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲐ. ᲡᲔᲠᲑᲘᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲔᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲐᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲗ. ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲯᲐᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲛᲜᲔᲡ ᲓᲐᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲘᲐ. ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲝᲛᲘᲗ ᲛᲘᲬᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲔᲜᲘᲡᲐ.

ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲛᲮᲠᲘᲗ — ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝᲑᲔᲜ ᲡᲔᲠᲑᲘᲐᲨᲘ. ᲐᲛᲐᲗ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ �გᲐᲖᲔᲗᲘ—„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ“. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ᲐᲛ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘ ᲐᲓᲠᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲠᲝᲘᲐᲜ ᲑᲝᲡᲙᲝᲔᲩᲘ.

ᲜᲐᲠᲔᲕᲘ

ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲗ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲡᲣᲒᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲓᲔᲩᲮᲣᲛᲔᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲣᲛᲪᲐ ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠᲘᲐᲜᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲑᲣᲒᲠᲡ ᲐᲡᲚᲡᲝᲒᲡᲝ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲠᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲯᲓᲐᲠᲐ ᲣᲯᲓᲣᲨᲡ ᲒᲕᲔᲣᲬᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲥ ᲛᲝᲣᲒᲜᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲣᲛᲔᲢ-ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡᲝ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲪ ᲣᲯᲔᲠᲔᲑᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲪᲕᲚᲔᲚᲐᲓ ᲒᲕᲔᲫᲔᲑᲐᲗ.

„ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲯᲐᲛᲘᲡ ᲨᲘᲜᲐ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოურავთ ლეჩხუმის მაზრასა კაცი გამოცდილი ქრთამთა შინა ზედმიწევნით მცოდნე პარვაგრაფიის მეცნიერებისა. მეცნიერმან ამან სხვათა კეთილმოქმედებათა შორის განიზრახა მიტოვება დაბის ლაილაშისა და უეზდის ქალაქის გადატანა სოფ. ცაგერს, არა მხოლოდ სასარგებლოთ მცხოვრებთათვის, არამედ უმეტესად ჯიბისა თვისისათვის.

„სცნეს რა მცხოვრებთა იმა დაბისათა, მიმართეს თხოვნითა მოურავს, რათა მოუშალა აზრი თვისი გადატანისათვის დაბისა ლაილაშიდამ ცაგერს, და დასაჯილდოებლად ამისათვის უძღვნეს ოქროვერცხლი და გუნდრუკი. მიმღებელმან ამა სასყიდლისა მოურავმან შესცვალა აზრი თვისი და დაეშოინა თვისა ადგილზედ ხსენებული დაბა.

„განვლო რაოდენმა წელმან, და კვალად განიზრახა მოურავმა პირველ განზრახული აზრი. გარნა კვალად მოუსდ ნ მას სომეხ-ურიანი იქ მცხოვრებნი და კვალად შესძღვნეს მას არა-უმცირესი პირველისა.

„და ამ ნაირად რაოდენმეჯერ აღძრა საქმე დარღვევასა ერთის დაბისა, და აღშენებასა ზედა მეორისა, რომლითაც არა მცირედი განი დასდო საფასესა თვისსა.

„არა არს დაფარულ, რომელი არა გამოცხადდეს და არცა საიდუმლო რომელი არა საცნაურ იქმნეს. რომელსა ასხენ ეურნი სმენად, ისმინეთ!“

ბანკირი

ბანკირის კანტორა

ალ. ფრიდონოვისა და ი. შახნაზაროვისა

ჰყიდულობს და ჰყიდის ოქროვალუტარ სარგებლიან (%) ქაღალდებს,

აძლევს ამ ქაღალდების გირაოთ სხვებზე მომეტებულ სესხს 7½% სარგებლით წელიწადში,

მიიღებს შესანახავთ ფულს,

შინაგან სესხის მოგებიან ბილეთებს იღებს სტრახში და სხვ.

კანტორა იმყოფება: სერგეევის ქუჩაზე, სასელმწიფო ბანკის განყოფილების პირ-და-პირ, ალ. ფრიდონოვის სახლში, № 7. (3—1)

კვირას, 25 იანვარს

თფილისის კლუბის ზალაში იქნება

ბალი

კავკასიის მხრის ექიმების ქერიოლების სასარგებლოდ.

ბილეთები ისყიდება შაევრდოვის სააგენტოში და თფილისის კლუბის შვეიცართან და ბალის დღეს კლუბის შესავალში.

ქალებისათვის გულ-ამოჭრილი კაბები ვალდებულებას არ შეადგენს.

შესვლის ფასი: კაცებისთვის 2 მ. და ქალებისთვის 1 მ.

დასაწყისი 9 საათზედ საღამოთი. (3—3)

ქუთაისის

ტრანსპორტნი კანტორა ძმათა თუთუნოვებისა, მართველი ივანე პასიკოვი, სთხოვს საზოგადოთ ქუთაისის ღუბერნიის მოვაჭრებსა და ეგრეთვე მქონებელსა

ბაგბისა

ვისაც აქვს გასასყიდი, მობძანდნენ კანტორაში, ბულვარის პირ-და-პირ ივანე ზედგინიძის სახლში საქალაქო ბანკის ქვეშ, სადაც გაურიგდებიან ფასს ანუ პირ-და-პირ მოიტანენ და მაზანდაზედ მიიღებს კანტორა, ნაღდფულზედ. (5—3)

მომავალ პარასკევს, 30 იანვარს

თფილისის საზაფხულო თეატრში დანიშნულია

ბენეფისი მომღერალის

ფ. ქოლრიძისა

ითამაშებენ რუსულ ოპერას

ЖИЗНЬ ЗА ЦАРЯ

(3—2)

ამ წლის 7-ს იანვარს ბუნიბის მაიდანზე, ბოდფრუას ცირკის გვერდით გავხსენი

ზალა გიმნასტიკის ვარჯიშობისა,

სადაც ყველა ხნის კაცებსა და ქალებს შეუძლიანთ გიმნასტიკური ვარჯიშობა დილის 8 საათიდამ საღამოს 10 საათამდინ.

დაწვრილებით პიროობების შეტყობა მსურველს შეუძლიან აქვე ზალის კანტორაში, რომელიც შუა დღიდამ 2 საათამდინ გაღებულია.

აქვე ასწავლიან კანკებით ცურვას და ვარჯიშობას ველოსიპედით; ასწავლიან აგრეთვე ფეხტოვანას. (6—3)

მოკლეს დროში, ქართულის დრამატიკულის ხელოვნების მოსიყვარულეთაგან წარმოდგენილ იქნება „მ ე დ ე ი ა“ ისტორიული ტრაგედია, სამს მოქმედებად ნათარგ. ივ. კერესელიძისაგან.

მოქმედება წარმოდგება საბერძნეთში, ქალაქს ქორინთაში. (3—3)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

ეაღარეთ ნვენი ნაი—1 მ. 10 კ. მოხეოვის ნაის—1 მ. 40 კ

— — —1—20	— —1—60
— — —1—40	— —1—80
— — —1—60	— —2— „
— — —1—80	— —2—50
საუკეთესო—2— „	— —3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურამები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25. დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში,

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—83)

კატენტიანი შჩოტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სხურაგებით 2 მანეთიდამ; სარძეგვ 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუკ; შოკოლადის კანფეთები 20 კ-დამ თითო უუთი და სხვ. ინგლიურს მაღაზიაში. (100—83)

შ ე ნ ი შ ნ ვ ა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ეღირა 2 მანეთად ღირს. (100—97)

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია სამდგილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუნებისა, საბონისა, შჩოკებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კვეშხეინი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაკინტოშის მოსასურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამბ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა სოტანგაზიდამ. [illegible] სიგარები. (100—12)

ინგლისის მაღაზიაში ისყიდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლება ოცი ავაზაკის ერთად მოკვლა, ფასი 1 მან. 50 კაპ. ეველა ინგლისის იარაღები ისყიდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვირემც სხვაგან. (20—14)

ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ქიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად დ ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნველის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—22)

მიუხედავათ იმისა, რომ ბაყი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: ჯონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. ინგლისის მაღაზიაში. საგენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს პარიეის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მედალი. გირვანქა ორომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხეველების კოსტუტები 60 კ. ერთი გირვანქა.

100—12

ქ უ თ ა ი ს შ ი

„ივანე ნიკოლაძის და შვილების“

მოდის მაღაზიაში

ისყიდება ყველაფერი რაც გინდა სულო და გულო:

მანდილოსნების ტანისამოსი, ოქროულობა, დიდ-ძალი და ჩინებული შუშეულობა, მშვენიერი საცვალი კაცისა და ქალების გასაცარ იაფად. წარმოიდგინეთ: პარიქში საგანგებოდ შეკერილი უპირველესი ხარისხის პერანგები თითო 3 მან. 75 კ. იყიდება! გარდა ამისა საზღვარ-გარეთის ჩინებული ჩექმები, რომელთაც სიმტკიცე აქვს ნაჭედისა და სილბილე ნაქსოვისა; ძალიან ბევრი სათამაშოები ბავშებისათვის და სხვ. და სხვ.

ერთის სიტყვით, ვისაც რა გნებავთ, შებძანდით „ივანე ნიკოლაძის და შვილების“ მოდის მაღაზიაში და იქ იპოვნით ყველაფერს ძალიან ხელ-მისაცემ ფასად, ასე რომ შემდეგში მუდამ მადლობელი იქნებით ამ მაღაზიისა. (10—10)

Дозволено цензурою. Тифлисъ 24 Января 1881 г. Типографія Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი· რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი